პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 232 (13317) | პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას შევხვდეთ ახალი გამარჯვებებით!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1965 წლის 29 სექტემბერს

1. 1966 წლის 29 მარტს მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

2) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ა. მურავიოვა.

3) სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

4) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დაწესდეს სკკპ XXIII ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 2,5 ათასი წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 2,5 ათასი კანდიდატისაგან.

4. სკკპ XXIII ყრილობის დელეგატები აირჩევიან პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებისაგან სკკპ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები მოეწყობა საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და საგანგებო დანიშნულების ჯარების ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საზღვარგარეთ მყოფ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XXIII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი ჯარის შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1965 წლის 29 სექტემბერს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების შენებლობის კურსს და ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის (1964 წელი) შემდეგ დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის შეთოდებისა და სტილის სრულყოფისათვის. აღდგენილია პარტიული ორგანოების აგების ლენინური ორგანიზაციული პრინციპები. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში პარტია სულ უფრო ღრმად სწვდება ჩვენს საზოგადოებაში ეკონომიური ურთიერთობის არსს, რათა სწორად გამოიყენოს მისი ეკონომიური კანონები და უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ხალხის ინტერესებისათვის. ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე შემუშავებულია და ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების კონკრეტული პროგრამა.

ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. კარგად ორგანიზებული და დიდად განვითარებული მრეწველობა თანამედროვე სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი, ჩვენი ქვეყნის ძლიერების ბაზაა. მისი განვითარების დონესა და მასშტაბებზე, მისი მუშაობის შედეგებზე დამოკიდებულია მთელი ჩვენი ეკონომიკის წარმატებით ზრდა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცება.

მრეწველობა განუწყვეტლივ იზრდება და უფრო სრულყოფილი ხდება. შვიდწლედის მანძილზე დაახლოებით 84 პროცენტით ფიდდება სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 პროცენტისა. ბევრად იზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის მოპოვება, თუჯისა და ფოლადის გამოდნობა.

უზრუნველყოფთ ქიმიური პროდუქციის, მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვან ზრდას. შვიდი წლის მანძილზე აშენდა და ამოქმედდა 5,5 ათასი დიდი სამრეწველო საწარმო. თითქმის ერთიორად დიდდება ძირითადი საწარმოო ფონდები მრეწველობაში.

თანამედროვე მოთხოვნილებათა გათვალისწინებით არსებითად იცვლება სამრეწველო წარმოების სტრუქტურა. ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის წილი; ესე იგი იმ დარგების წილი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს, შვიდი წლის განმავლობაში იზრდება 27 პროცენტიდან 35 პროცენტამდე.

განხორციელდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მომატების, კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის, მოსახლეობის სახალხო მოხმარების საგნებით მომარაგების გაუმჯობესებისა და საბინაო მშენებლობის შემდგომი გაფართოების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ეს წარმატებანი მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მეცნიერთა უდიდესი შემოქმედებითი შრომის, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ღიდი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ეკონომიკის წინაშე დგას მრეწველობის განვითარების დონის ამაღლებისა და ტემპის გადიდების საქმეში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, მოითხოვს მთელ შესაძლებლობათა მობილიზაციას მრეწველობაში არსებული რეზერვებს სრული გამოყენებისათვის, ეროვნული შემოსავლის ზრდისათვის. მათ შორის მთავარია წარმოების ეფექტიანობის გადიდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ძლიერებისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საკითხებს შეეხო ამწყობი ხალამრეოს უფროსი გ. კერესელიძე. — ამ მიზნით, — თქვა მან, — განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნიკის ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებას.

ამწყობი საამქროს მუშა-მოსამსახურეები პლენუმის გადაწყვეტილებებს საქმით უპასუხებენ. მათ იუბილეს პარტიის მორიგი ყრილობის განსნის დღისათვის დაამთავრონ ელმავლების ასაწყობი კონვეიერის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

პლენუმის მასალების საფუძველზე წარმოების ზრდის, ახალი რეზერვების შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა მ. დოლიძემ, საკავშირო საამქროს უფროსის მოადგილემ ვ. იზაკოვიჩმა, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ჩოხელმა.

ქარხველი ელმავალმშენებლები მშობლიური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ ვანატზე დადგნენ. მათ ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის პროდუქციის გამოშვების სანელმწიფო გეგმა 27 დეკემბრისათვის შეასრულონ, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება სამშობლოს ყრილობის გახსნის დღისათვის უპატაკონ.

მთელი ხალხი იწონებს!

ელმავალმშენებელთა ერთსულოვნება

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს კორპუსში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ გულახდილი საუბარი გაიმართა.

— ჩვენი ქარხნის მშრომელები, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა გ. სამხარაძემ, — განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან და მხარს უჭერენ პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებებს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ.

ახლანდელ პირობებში საჭიროა დიდი მოქნილობა და ოპერატიულობა წარმოების მართვასა და დაგეგმვაში. ძალზე მნიშვნელოვანია დროულად გავეთვალისწინოთ ცვლილებადი სამეურნეო ვითარება, მოვახდინოთ რესურსების მანევრირება.

საუბარში ჩაერია მოწინავე ელექტროშეინკალი გ. აბიაშვილი.

— პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა მიზანია, — აბობს იგი, — თანმიმდევრულად განვახორციელოთ მშრომელთა დიქტერესების პრინციპი, რომ ახალ-ახალი რეზერვები გამოვავლინოთ თვით საწარმოებში, შევმნათ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადიდების ახალი წყაროები.

საწარმოთა ეკონომიური წახალისების განმტკიცების საკითხებს შეეხო ამწყობი საამქროს უფროსი გ. კერესელიძე. — ამ მიზნით, — თქვა მან, — განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტექნიკის ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებას.

ამწყობი საამქროს მუშა-მოსამსახურეები პლენუმის გადაწყვეტილებებს საქმით უპასუხებენ. მათ იუბილეს პარტიის მორიგი ყრილობის განსნის დღისათვის დაამთავრონ ელმავლების ასაწყობი კონვეიერის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

პლენუმის მასალების საფუძველზე წარმოების ზრდის, ახალი რეზერვების შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა მ. დოლიძემ, საკავშირო საამქროს უფროსის მოადგილემ ვ. იზაკოვიჩმა, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ჩოხელმა.

ქარხველი ელმავალმშენებლები მშობლიური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ ვანატზე დადგნენ. მათ ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის პროდუქციის გამოშვების სანელმწიფო გეგმა 27 დეკემბრისათვის შეასრულონ, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება სამშობლოს ყრილობის გახსნის დღისათვის უპატაკონ.

პარტიის ბრძნული სიტყვა

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის საბოლოოდ საწარმოებში დიდი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. საუბრებში მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ეთანამეგზურ დიდი კმაყოფილებით უხსიათებენ თავიანთ მოსაზრებებს.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ შეფუშავებული ღონისძიებები, — განაცხადა ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის ფაბრიკის თანამედროვე ეკონომისტმა ა. კლატოიამ, — უეჭველია, საგრძნობლად დიდ ეფექტს მოგცემს ჩვენს წარმოებას. ეკონომისტ-ანალიტიკოსებს ბევრ ბელ მეშეფეს ეკონომიურ ანგარიშებ-ში ... ტყავეულ ... ბისა ... ...

მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

(დასასრული)

კაპიტალური დაბანდებებისა და ძირითადი საწარმოო ფოსდების უკუსარგებლობის გადიდება, ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელება, ზედმეტობისა და უნაყოფო ხარჯების თავიდან აცილება, ამ ამოცანათა გადაწყვეტაში მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარება.

დიდ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის სრულყოფა, სახელმწიფო დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლება. სახალხო-სამეურნეო გეგმები უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივებს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დახერგვისა და ათვისების წრაფ ტემპს, უნდა ემყარებოდეს რეალურ და ობიექტურ გაანგარიშებებს. გეგმების შედგენის დროს უნდა დავიცვათ უმნიშვნელოვანესი პრინციპები — სოციალიზმის ეკონომიური კანონების ზუსტად გათვალისწინება, ეკონომიკის განკითარებაში პროპორციულობის უზრუნველყოფა, უმცირესი დანახარჯებით სამრეწველო პროდუქციის მაქსიმუმის მიღება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მართვის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების მეთოდები მრეწველობაში არ შეესაბამება თანამედროვე პირობებს და საწარმოო ძალთა განვითარების დონეს.

მრეწველობის ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლი ის არის, რომ სჭარბობდა ადმინისტრაციული მეთოდები ეკონომიური მეთოდების საზიანოდ. სამეურნეო ანგარიშს საწარმოებში ბევრჯერ ფორმალური ხასიათი აქვს; შეზღუდულია საწარმოთა უფლებანი სამეურნეო საქმიანობაში.

საწარმოთა მუშაობა რეგლამენტირებულია მრავალი საგეგმო მაჩვენებლით, რაც ზღუდავს საწარმოთა კოლექტივების დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, ამცირებს პასუხისმგებლობას წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მრეწველობის მუშაკთა მატერიალური წახალისების სისტემა ნაკლებად ინტერესებს მათ საწარმოთა მუშაობის საერთო შედეგების გაუმჯობესებით, წარმოების რენტაბელობის გადიდებითა და სამრეწველო წარმოების ხარისხის გაუმჯობესებით.

ტერიტორიული პრინციპით მრეწველობის მართვამ რამდენადმე გააფართოვა დარგთშორისი სპეციალიზაციისა და სამრეწველო წარმოების კოოპერირების შესაძლებლობანი ეკონომიური რაიონების ფარგლებში, მაგრამ ამავე დროს აფერხებდა სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში მყოფ საწარმოთა დარგობრივი სპეციალიზაციისა და რაციონალური საწარმოო ურთიერთობის განვითარებას, დააშორა მეცნიერება წარმოებას, გამოიწვია მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობის დანაწევრება და მრავალსაფეხურიანობა, ოპერატიულობის დაკარგვა მუშაობაში.

მრეწველობის შემდგომი განვითარების და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის გადიდებისა და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა გავაუმჯობესოთ დაგეგმვის მეთოდები, გავაძლიეროთ სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირება, გავადიდოთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება საწარმოთა მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მოაწყოს მრეწველობის მართვა დარგობრივი პრინციპის მიხედვით, შექმნას საკავშირო-რესპუბლიკური და სრულიად საკავშირო სამინისტროები მრეწველობის დარგების მიხედვით.

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ მოესპოს საწარმოთა საქმიანობის ზედმეტი რეგლამენტაცია. შემცირდეს საგეგმო მაჩვენებლების რაოდენობა, რომლებსაც საწარმოს ზემოდან უწესებენ. მიეცეს მათ საჭირო სახსრები წარმოების გაფართოებისა და სრულყოფისათვის, გაუმჯობესდეს ისეთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ბერკეტების გამოყენება, როგორიც არის მოგება, ფასი, პრემია, კრედიტი.

სამეურნეო და საგეგმო ორგანოებს მოეთხოვებათ დიდი მოქნილობა და ოპერატიულობა წარმოების დაგეგმვასა და მართვაში, იმის უნარი, რომ დროულად გაითვალისწინონ ცვალებადი სამეურნეო ვითარება, მოახდინონ რესურსების მანევრირება, წარმოება დაუკავშირონ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებსა და მოთხოვნას, განამტკიცონ სამეურნეო ანგარიში, სწორფად დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გამონახონ საწარმოს კონკრეტულ პირობებში სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტის უკეთესი მეთოდები.

დაგეგმვის, წარმოების ხელმძღვანელობისა და მატერიალური სტიმულირების მთელი სისტემა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფასა და მისი ეფექტიანობის გადიდებას. აღნიშნული მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა დავაინტერესოთ საწარმოთა კოლექტივები, რომ იკისრონ უფრო დიდი საგეგმო დავალებანი, უკეთ გამოიყენონ საწარმოო ფონდები. მუშაობენ, მატერიალური და ფინანსური რესურსები. სრულყონ ტექნიკა, შრომის ორგანიზაცია, აამაღლონ წარმოების რენტაბელობა.

პარტია და საბჭოთა მთავრობა, აფართოებენ რა საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობას, კვლავაც განახორციელებენ პოლიტიკას წარმოების განვითარების მთავარ მიმართულებათა დაგეგმვის, ტექნიკური პროგრესის, კაპიტალური დაბანდებების, ფასების, შრომის ანაზღაურებისა და ფინანსების დარგში.

მრეწველობის ხელმძღვანელობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მრეწველობის ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერების ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი ერთიან სახელმწიფო დაგეგმვას უხამებენ საწარმოთა მთლიან სამეურნეო ანგარიშს, ცენტრალიზებულ დარგობრივ მართვას — ფართო რესპუბლიკურ და ადგილობრივ სამეურნეო ინიციატივას, ერთმმართველობის პრინციპს და საწარმოო კოლექტივების როლის გადიდებას. ამ დროს კიდევ უფრო ფართოვდება მართვის დემოკრატიული პრინციპები, იქმნება ეკონომიური წანამძღვრები წარმოების მართვაში მასების უფრო ფართო მონაწილეობისათვის და მათი გავლენისათვის საწარმოთა ეკონომიური მუშაობის შედეგებზე. სამეურნეო მართვის ასეთი სისტემა უფრო შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და შესაძლებელს გახდის უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური წყობილების უპირატესობანი.

პლენუმი იწონებს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებებს, რომლებიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში, და ავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიიღონ გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანონ წინადადებანი მრეწველობის მართვის ორგანოების შესახებ.

პლენუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ავალებს მოკლე ვადაში გადაჭრან ყველა ორგანიზაციული საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია საკავშირო რესპუბლიკურ და საკავშირო სამინისტროთა, აგრეთვე ადგილებზე სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოთა შექმნასთან, რათა უზრუნველყოს მრეწველობის ნორმალური მუშაობა, სწორად გადაჭრან გაუქმებული სამეურნეო ორგანიზაციების კადრების გამოყენებისა და განაწილების საკითხები, დიდად კვალიფიციური კადრებით განამტკიცონ საწარმოები. სამინისტროები და უწყებანი, რომლებიც კვლავ შეიქმნება, დაკომპლექტონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, კარგი ორგანიზატორებით, რომლებსაც უნარი შესწევთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით წარმართონ საქმე.

სამინისტროების, სამრეწველო საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციათა თანამშრომლებს უნდა იყოს სამრეწველო წარმოების განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა და ეფექტიანობის გადიდება. შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება, არსებული საწარმოო ფონდების საუკეთესოდ გამოყენება. ამ მიზნით უზრუნველყოფილ უნდა იქნას სახალხო მეურნეობაში საბჭოური და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის გადიდება მისთვის დაკისრებული საქმისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამინისტროებს, პარტიის, სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე ეკისრებათ პასუხისმგებლობა მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, მისი მაღალი ტექნიკური დონისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგია ტექნიკურად სრულყოფილი და დიდი წარმადობის მანქანებით, მოწყობილობითა და ხელსაწყოებით. მაღალხარისხოვანი ნედლეულითა და მასალებით უზრუნველყოფისათვის, სახალხო მოხმარების კარგ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპის შემოღება და წარმოების განვითარებაში ეკონომიური ბერკეტების გაძლიერება კიდევ უფრო ზრდის რეპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონებისა, საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების პარტიულ ორგანიზაციათა როლს ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო დავალებების შესასრულებლად. პარტიული კომიტეტები სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობის გაუწევლად ვალდებული არიან მთავარი ყურადღება დაუთმონ ორგანიზატორულ მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან განუწყვეტლივ შეისწავლიდნენ საწარმოთა საქმიანობას და ეხმარებოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა გამოვლენებასა და აღმოფხვრაში, წარმართავდნენ მშრომელთა მეცადინეობას რეზერვების გამონახვისა და ამოქმედებისათვის, გადაჭრით იბრძოდნენ როგორც საუწყებო, ისე კუთხური ტენდენციების, გამოვლინებათა წინააღმდეგ.

პარტიული კომიტეტები [illegible] უნდა ერკვეოდნენ წარმოების ეკონომიკაში, გაანალიზებდნენ ფულადი სახსრების, [illegible] რესურსების მომჭირნეობისა და ეკონომიისათვის, გახადონ იგი ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ, შეიარაღონ კადრები ეკონომიური ცოდნით, ასწავლონ სწორად გამოიყენონ ეკონომიური ბერკეტები სამრეწველო წარმოების გასაუმჯობესებლად.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის, განავითარონ მათი შემოქმედებითი აქტივობა, გადაჭრით იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. უნდა გაუმჯობესდეს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, რათა ყოველივე მოწინავე, რაც წარმოებაში წარმოიშობა, მასობრივად გავრცელდეს და დაიხერგოს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეურნეობის მართვის ახალი სისტემის შესაძლებლობანი წარმოების შემდგომი აღმავლობისა და კარგად მომუშავე საწარმოთა და მრეწველობის მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების ეკონომიური სტიმულები კომუნიზმისაკენ სოციალისტური ეკონომიკის ჰოძრაობის მძლავრი საშუალებაა. ამავე დროს პარტია კვლავაც განუხრელად განახორციელებს მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის აძაღლების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის კურსს. მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი მშრომელი შეგნებულად, ინიციატივიანად და შემოქმედებითად მიუდგება თავის საქმეს, თუ ყოველი მშრომელი მომჭირნედ, აყირათიანად მოეკიდება სახალხო დოვლათს, შეიძლება ვიბრძოლოთ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით განავითარონ შრომის მორალური სტიმულები, შექმნან ყველა პირობა მასების ნამდვილად კომუნისტური შემოქმედების გაფურჩქვნისათვის.

პლენუმი პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს ფართოდ განუმარტონ მრეწველობის მუშაკებს, ყველა მშრომელს ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მთელი ძალები მოახმარონ იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს. როცა ამ ღონისძიებებს ამუშავებდა, პარტია ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირეული ინტერესებით, ყოველმხრივ ითვალისწინებდა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მეცნიერების, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წინადადებებსა და სურვილებს.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებებს კმაყოფილებით შეხვდებიან პარტია და ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება ეკონომიურად კიდევ უფრო გააძლიერებს საბჭოთა სახელმწიფოს. უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს, ხელს შეუწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა უფრო წარმატებით გადაწყვეტას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს დეპეშა გაუგზავნათ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-16 წლისთავის ეროვნული დღესასწაულის გამო ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნეს მაო ძე-დუნს, ლიუ შაო-ცის, ჭუ დესა და ჭოუ ენ-ლაის. საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით ისინი გულითადად ულოცავენ დღესასწაულს ჩინელ ხალხსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდად აფასებენ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, ჩვენი ქვეყნების ერთიანობასა და შეკავშირებას. სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს, მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობა და შეკავშირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იმპერიალისტური აგრესიის გამო. საბჭოთა ხელმძღვანელები დიდ წარმატებებს უსურვებენ სოციალიზმის მშენებლობაში ჩინეთის მუშათა კლასს, გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას, ჩინეთის მთელ მრავალმილიონიან ხალხს. (საკდესი).

ფასები შემცირდა

250-270-გრამიანი ერთი ქილა კონსერვი „ წყნარი ოკეანის მსუქანი ქაშაყი ჟელეში“, რომელიც 62 კაპიკი ღირდა, 1965 წლის 1 ოქტომბრიდან 45 კაპიკი ეღირება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განსაზღვრულობათა კომისიებში

30 სექტემბერს კრემლში ამხანაგების გ. ვ. ეორობიოვისა და ნ. ზარიპოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განსაზღვრულობათა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიებმა მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტების, სსრ კავშირში ალრიცხვისა და სტატისტიკის კანონისა და სხვა კანონპროექტების მოსამზადებლად.

კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი ტყით სარგებლობის ძირითადი საწყისების პროექტის მომზადების შესახებ და განსახილველად კანონპროექტზე მუშაობის წესი.

კომისიებმა აგრეთვე განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც კანონპროექტების მომზადებასთან არის დაკავშირებული.

კომისიებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა წყალთა მეურნეობის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტების, სსრ კავშირში ალრიცხვისა და სტატისტიკის კანონისა და სხვა კანონპროექტების მოსამზადებლად.

კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი ტყით სარგებლობის ძირითადი საწყისების

კომუნისტი

№-2 გვერდი. პარასკევი, 1 ოქტომბერი, 1965 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

ძალისა და მუქარის პოლიტიკა განწირულია

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საერთო დისკუსიაში გამოვიდა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ნიკეზიჩი. მან დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო საერთაშორისო ვითარებას, რომელიც სულ უფრო მწვავდება და ამასთან დაკავშირებით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას ფართოდ უჭერენ ხალხს და განაცხადა, რომ მის განსახორციელებლად უფრო ყოველისა უარი უნდა ითქვას ძალისა და მუქარის პოლიტიკის გამოყენებაზე.

იუგოსლავიის დელეგატმა გენერალურ ასამბლეას მოუწოდა რაც შეიძლება მალე განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ და უფრო ბეჯითად იბრძოლოს საერთაშორისო ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის, ხალხის წარმომადგენელი. ამ რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, ხაზგასმით აღნიშნა გვინეის წარმომადგენელმა, ერთი მუჭა თეთრკანიანი კოლონიზატორები ჩაგრავენ.

სანზორეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული, კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მეტმა წილმა დელეგაციებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებმა, აგრეთვე განეთარებადი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, დატოვეს ასამბლეის დარბაზი. ბიულეტენი სტყვა წარმომქვა თითქმის ცარიელ დარბაზში. იგი ცდილობდა გაეგრძელებინა თავისი მოაზროვნობის რასისტული პოლიტიკა, აგრეთვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული კურსი, რომლებიც ახმობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აფრიკაში და სხვა ყოტენენტებებზე. სანზორეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გერეს ცალომ. მან განაცხადა, ჩვენი მთავრობა გადაჭრით უარყოფს და გმობს აპარტეიდის პოლიტიკას, რომელსაც სამხრეთ აფრიკის მთავრობა ახორციელებსო.

ინდოეთის წარმომადგენელმა ჯამესა და ქაშმირის შტატის მთავრობის უფროსეფლო მინისტრმა საიდ მირ ყასიმმა პაკისტანის დელეგატის სიტყვის პასუხად ჩამოაყალიბა და დაასაბუთა ქაშმირის კონფლიქტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მან უარყო პაკისტანის წინადადება, რომ ჯამესა და ქაშმირიდან გაიყვანონ ინდოეთისა და პაკისტანის ჯარები და იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები შეიყვანონ. სხდომის დასასრულს ზამბიისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა გამოიყენეს პასუხის უფლება და წარმოთქვეს სიტყვები.

ზამბიის დელეგატმა ინგლისს ეკითხოვა, რომ სასწრაფოდ განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი და შეასრულოს მრავალგზის დაპირება სასრულ როდეზიის შესახებ. პაკისტანის წარმომადგენელმა უარყო ინდოეთის დელეგატის განცხადება ქაშმირის კონფლიქტის ხასიათის შესახებ.

შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება 30 სექტემბერს დილით.

ვულკანის მსხვერპლნი

ლონდონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ტაალის ვულკანის ამოფრქვევის რაიონში, საიდაც 28 სექტემბერს მოქმედება დაიწყო ამ ვულკანმა, წარმოებს საშველი სამუშაოები. როგორც ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელი აცხადებდა ჩანს, დაიღუპა ხუთასამდე კაცი. ყითელი ჯვრის საშველმა ჯგუფებმა, იუწყება რეიტერი საგანგებო კორესპონდენტი ტაალის კუნძულიდან (ფილიპინები), ფერფლის ფენიდან უკვე ამოიღეს 107 გვამი. ადგილობრივ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ვულკანის ხელმეორე ამოფრქვევა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი.

ფილიპინების პრეზიდენტის ბრძანებით წარმოებს ვულკანის მახლობლად მდებარე სოფლების მოსახლეობის ევაკუაცია.

ტაალის ვულკანი უმოქმედოდ იყო 54 წლის განმავლობაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესია

●

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საერთო დისკუსიაში გამოვიდა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ნიკეზიჩი. მან დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო საერთაშორისო ვითარებას, რომელიც სულ უფრო მწვავდება და ამასთან დაკავშირებით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას ფართოდ უჭერენ ხალხს და განაცხადა, რომ მის განსახორციელებლად უფრო ყოველისა უარი უნდა ითქვას ძალისა და მუქარის პოლიტიკის გამოყენებაზე.

იუგოსლავიის დელეგატმა გენერალურ ასამბლეას მოუწოდა რაც შეიძლება მალე განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ და უფრო ბეჯითად იბრძოლოს საერთაშორისო ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის, ხალხის

გაძლიერდა ალი საბრის მთავრობა

კაირო, 30 სექტემბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალი საბრიმ გუშინ რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ა. ნასერ ანგარიში გადასცა განცხადება მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შესახებ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომის პროცედურა, როგორც ოფიციალურად გამოცხადდა, გათვალისწინებულია იმასთან დაკავშირებით, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში რევოლუციური ლეგალობის ახალი ეტაპი დაიწყო.

როგორც გუშინდელი გაზეთები აღნიშნავენ, ახალ ეტაპზე „არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკამ განახორციელდება ფართო პოლიტიკური ცვლილებანი“.

როგორც მუნის საგარეო იუწყება, გამგე ამდელ ნასერმა ახალი მთავრობის შექმნა დააკისრა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს ზაკარია მოჰი ედ-დინს.

ახალი თავმჯდომარე

ოტავა, 30 სექტემბერი. (საკდესი). კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ მარტინი დანიშნულია ნატოს საბჭოს თავმჯდომარედ. ნატოს საბჭოს თავმჯდომარე ინიშნება ერთი წლის ვადით. აქამდე ეს პოსტი ეკავა ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს პოლ-ანრი სპააკს.

მეგობრული შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობაში საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიაზე ჩამოსულ სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებს.

შეხვედრაში, რომელშიც გულთბილი ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. პეტერი, კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. როა, მონღოლეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დუგერსურენი, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მენესუ, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ტარაბანოვი.

შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე მუდმივი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში: უნგრეთისა — კ. ჩატორდაი, მონღოლეთისა — ლ. ტოივი, რუმინეთისა — მ. ხაშეგანუ, ჩეხოსლოვაკიისა — ი. გაეკი, პოლონეთის დელეგაციის წევრი მ. ლიაზსი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილეები ა. ე. ნესტერენკო და ი. ნოსეკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. ტრონეო, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ა. აზიმოვი და სხვ.

როდეზიაში მნვავდება ვდგომარეობა

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელმა სპეციალურმა კომიტეტმა (24 ქვეყნის კომიტეტი) გუშინ ინგლისს წაუყენა მოთხოვნები, რომ შეწყვიტოს სამხრეთ როდეზიის შესახებ საერთაშორისო ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა სამოტაკი.

მოხსენებაში 1965 წლის საქმიანობის შესახებ სპეციალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ინგლისს არ შეუცვლია თავისი პოზიცია სამხრეთ როდეზიის საკითხში. მან ხელი არ შეუშალა საკანონმდებლო კრების არჩევნებს, რომლებიც მომდინარე წლის მაისში მოეწყო რასისტული კონსტიტუციის საფუძველზე. ეს არჩევნები, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, სულაც არ ასახავენ სამხრეთ როდეზიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნება-სურვილს, მაგრამ მათ შედეგებს თეთრკანიანი უმცირესობის რეჟიმი იყენებს როგორც ერთმხრივი მოქმედების საბაბსა და გამართლებას.

24 ქვეყნის კომიტეტი გენერალური ასამბლეის XX სესიის ყურადღებას აქცევს იმას, რომ სამხრეთ როდეზიაში უფრო მწვავდება მდგომარეობა, რომელსაც ისედაც შეიძლება აფეთქება მოჰყვეს. კომიტეტი დაინტერესებულია, რომ ინგლისმა ენერგიული ღონისძიებანი განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე

დელი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, „აღნიშნულია პაკისტანის მხრივ ამ შეთანხმების სერიოზული დარღვევის 42 შემთხვევა“. დარღვევები უმეტესად რაჯასტანის სექტორში ხდება. პაკისტანის ჯარებმა, თქვა წარმომადგენელმა, წაიწიეს ტერიტორიის სიღრმეში ხუსეინივალის ჩრდილოეთით. რომელსაც კონტროლს უწევს ინდოეთის არმია, აგრეთვე არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ინდოეთის პოზიციებს ფაზილკის რაიონში.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა აგრეთვე ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ინდოეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოთვლილია პაკისტანის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის ფაქტები.

ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელმა გუშინ უარყო პაკისტანის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა რაჯასტანის შტატში დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

ინდოეთის ჯარები, აღნიშნა წარმომადგენელმა, მხოლოდ „პაკისტანელ პროვოკატორთა“ საპასუხოდ ისროდნენო. წარმომადგენელმა უარყო აგრეთვე ცნობა, თითქოს ინდოეთის სამხედრო-საჰაეროს წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ინდოეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოთვლილია პაკისტანის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის ფაქტები.

ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელმა გუშინ უარყო პაკისტანის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა რაჯასტანის შტატში დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

ინდოეთის ჯარები, აღნიშნა წარმომადგენელმა, მხოლოდ „პაკისტანელ პროვოკატორთა“ საპასუხოდ ისროდნენო. წარმომადგენელმა უარყო აგრეთვე ცნობა, თითქოს ინდოეთის სამხედრო-საჰაეროს ძალები თავს დაესხნენ პაკისტანის ჯარებს რაჯასტანის საზღვარ

კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ვ. ლენინი

დაკვეთილი დიდ მოძღვრებას — მარქსიზმ-ლენინიზმს!

პარტიის წევრი მოვალეა, ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იცოდეს იდეური დონე, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას.

სკკპ წესდება

ახალი ეტაპი, ფორმები და ამოცანები

ო. ლოლაშვილი,
საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი.

◆

კომუნისტური პარტია მუდამ განსაკუთრებულ უურადღებას უთმობდა და უთმობს კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად დაუფლებას, შემოქმედებითად შესწავლას. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ყოველმხრივ განვითარებულ, განსწავლულ, თეორიულად მომზადებულ ადამიანებს მოითხოვს. ამიტომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენს წინაშე მთელი სისრულით დგას კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური სწავლების, მარქსისტულ-ლენინურ იდეებზე აღზრდის ამოცანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმებმა, რომლებმაც დაგმეს სუბიექტივიზმი, ახალი ეტაპი შექმნეს პარტიისა და საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. ახლა პარტია მეტ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კადრებს, ყველა კომუნისტს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლების საქმეში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რომელსაც პოლიტიკური სწავლების მოწყობის დიდი გამოცდილება აქვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული, ცხოვრებით ნაკარნახეკი პარტიული სწავლების ახალი სისტემის საფუძველზე დროულად დაიწყო სასწავლო წლისათვის მზადება. საქალაქო კომიტეტმა რაიკომებთან ერთად შეიმუშავა სწავლების ისეთი ფორმები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კომუნისტების, მშრომელთა მსოფლმხედველობას, ინტერესებს, უნარსა და შესაძლებლობას, მათ წინაშე დასახული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებას წინ უძღოდა პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტებისა და ლექტორ-მომხსენებლების ზონალური საინსტრუქტაჟო შეკრება — თათბირები, რომელზეც მოსმენილ იქნა პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიშები და ინფორმაციები სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობაზე. ყოველივე ამას კეთილისმყოფელი შედეგები მოჰყვა. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა პოლიტიკური განათლების. სისტემაში ახალი სასწავლო წლის მაღალ იდეურ დონეზე დაწყებას.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში ახალ სასწავლო წელს 60 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი აიმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს. დღეს—1 ოქტომბერს სისხლსავსე ცხოვრება იწყება პარტიული სწავლების ყველა ფორმასა და სახეობაში. წინა წლებისაგან განსხვავებით პოლიტიკური განათლების მთელ ქსელში სწავლება ახლებურად წარიმართება. მისი მთავარი დანიშნულებაა ყოველმხრივ დაეხმაროს ჩვენს კადრებს, უწინარეს ყოველისა კომუნისტებს, მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, სკკპ თეორიისა და პოლიტიკის ღრმად შესწავლაში.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავიდანვე უზრუნველვყოთ სასწავლო წლის მაღალიდეურ დონეზე წარმართვა, დავეხმაროთ თვითეულ კომუნისტს იმაში, რომ მიღებული თეორიული ცოდნა მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი კოლექტივის პრაქტიკულ საქმიანობას, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, საწესდებო მოვალეობის შესრულებისადმი მათი პასუხისმგებლობის ზრდას.

პარტიული სწავლების ახალი სისტემა ქმნის კომუნისტთა განათლების პერსპექტიული დაგეგმვის კარგ საფუძველს, უფრო თანმიმდევრულ, მიზანსწრაფულ ხასიათს ანძლევს და თავიდანვე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მსმენელმა წლების მანძილზე ერთი და იგივე ადგილი არ ტკეპნოს. კომუნისტებს საშუალება მიეცათ დამოუკიდებლად აირჩინონ როგორც შესასწავლი პრობლემები და საკითხები, ისე მეცადინეობის ფორმები.

პარტიული სწავლების ახალ სისტემაში თითქმის არ არის არცერთი ისეთი ფორმა, რომელიც ამჟამად გამოუცენებული არ იყოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მიერ. გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოდა სკკპ ისტორიის, პოლიტეკონომიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შესწავლის ინდივიდუალური და კოლექტიური სახეები. დიდი რაოდენობით შეიქმნა პოლიტიკური განათლების დაწყებითი ფორმები (პოლიტსკოლა), ასევე საშუალო რგოლისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველთვის დიდ უურადღებას აქცევდა კომუნისტთა დამოუკიდებელ სწავლებას, თვლიდა მას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდად. მაგრამ სწავლებაში სერიოზული ხარვეზებია იყო უყურადღებობისა და უყონტროლობის შედეგად.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა, ბიუროებმა, კომიტეტებმა მოაწყეს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებთან გასაუბრება, გააცნეს მათ სასწავლო გეგმები და პროგრამები, ინდივიდუალური სწავლის თემატიკა. ისინი თავიანთი სურვილის, უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით ჩაებნენ სწავლების სხვადასხვა ფორმაში, შესასწავლად აირჩიეს საკითხები და თემები: სტატიების სერია „ლენინური სტილი მუშაობაში", კრებული — „აღზრდის ხელოვნება", სახელმძღვანელო „მშენებლობის ეკონომიკა", სასწავლო სახელმძღვანელო „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია", კრებული „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები", სტატიების სერია „კომუნისტური და მუშათა მოძრაობა", ბროშურების სერია „ორგანიზაციის მართვისა და დაგეგმვის პრობლემები საწარმოში" და ა. შ.

დედაქალაქის ორჯონიკიძის, კალინინის რაიონული პარტიული კომიტეტები დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად მოაწყობენ თეორიულ, საპრობლემო და მეთოდოლოგიურ სემინარებს, კონფერენციებს. ასე, მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტში შეიქმნა მედიცინის ფილოსოფიური საფუძვლების შემსწავლელი, ხოლო ფსიქიატრიის ინსტიტუტში თანამედროვე ბიოლოგიაში ფილოსოფიური საფუძვლების შემსწავლელი სემინარები. დარგობრივი სემინარები იმუშავებენ რესპუბლიკის პროკურატურაში, უმაღლეს სასამართლოში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში და ა. შ. ყველა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში შედგენილი და დაზუსტებულია სემინარებისა და კონფერენციების გამართვის გეგმა-გრაფიკები.

წელს განსაკუთრებული უურადღება მიექცევა ხელმძღვანელი კადრების სწავლებას. მათი დიდი უმრავლესობა ამჟამად ჩაბმულია პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში. ლენინის. პირველი მაისისა და 26 კომისრის რაიონებში შეიქმნა პარტიულ-სამეურნეო აქტივის რაიონული სკოლები, რომლებშიც 464 კაცია გაერთიანებული.

ამ სკოლებში მუშაობა წარიმართება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შესწავლის ინდივიდუალური და კოლექტიური სახეები. დიდი რაოდენობით შეიქმნა პოლიტიკური განათლების დაწყებითი ფორმები (პოლიტსკოლა), ასევე საშუალო რგოლისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველთვის დიდ უურადღებას აქცევდა კომუნისტთა დამოუკიდებელ სწავლებას, თვლიდა მას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ძირითად მეთოდად. მაგრამ სწავლებაში სერიოზული ხარვეზებია იყო უყურადღებობისა და უყონტროლობის შედეგად.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა, ბიუროებმა, კომიტეტებმა მოაწყეს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებთან გასაუბრება, გააცნეს მათ სასწავლო გეგმები და პროგრამები, ინდივიდუალური სწავლის თემატიკა. ისინი თავიანთი სურვილის, უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით ჩაებნენ სწავლების სხვადასხვა ფორმაში, შესასწავლად აირჩიეს საკითხები და თემები: სტატიების სერია „ლენინური სტილი მუშაობაში", კრებული — „აღზრდის ხელოვნება", სახელმძღვანელო „მშენებლობის ეკონომიკა", სასწავლო სახელმძღვანელო „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია", კრებული „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები", სტატიების სერია „კომუნისტური და მუშათა მოძრაობა", ბროშურების სერია „ორგანიზაციის მართვისა და დაგეგმვის პრობლემები საწარმოში" და ა. შ.

ელის სასწავლო წლის დაწყება ღირსშესანიშნავ მოვლენებს დაემთხვა. ეს-ეს არის დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის მართვისა და დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. მთელი საბჭოთა ხალხი მოწონებით ხვდება იმ ღონისძიებებს, რაც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს. ახლა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ფართოდ განვუმარტოთ და გავაცნოთ პლენუმის გადაწყვეტილებანი თვითეულ კომუნისტს და ყველა მშრომელს, ამიტომ მიზანშეწონილად მიჩნეულია პოლიტიკური განათლების დაწყებით და საშუალო რგოლში პირველი ერთი-ორი მეცადინეობა მივუძღვნით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებია შესწავლას.

ახალ სასწავლო წელს პარტორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პროპაგანდისტთა კადრების აღზრდა, სწავლება, მეთოდური დახელოვნება.

ამჟამად დედაქალაქში პროპაგანდისტთა თითქმის ნახევარზე მეტს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაები შედგენენ. მათს უმრავლესობას დიდი გამოცდილება აქვს და შესწევს უნარი მაღალ იდეურ დონეზე მოაწყოს მეცადინეობა. მართალია, პროპაგანდისტები უკვე დაკომპლექტებული არიან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. პირიქით, პროპაგანდისტებთან უნდა ვაწარმოოთ მუდმივი, თანმიმდევრული მუშაობა, მოვაწყოთ მათი საქმიანობის შემოწმება, მოწინავე გამოცდილების განზოგადება. პროპაგანდისტი პარტიის იდეური ჯარისაკაცია და ამიტომ მზრუნველობით უნდა ვზარდოთ მათი რიგები.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა და რაიკომებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ პრაქტიკული დამარების ვაწევას პროპაგანდისტთა კადრებისათვის. მოეწყო თათბირ-სემინარები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მზადდება და გათვალისწინებულია უახლოეს მომავალში გიმართოს პროპაგანდისტთა მე-2 ხანგრძლივი მეთოდური კონფერენცია. პროპაგანდისტებისადმი ქმედითი პრაქტიკული დახმარების მიზნით საქალაქო კომიტეტმა რაიკომებზე მიამაგრა უმაღლესი სასწავლებლების ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები. მათი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა პროპაგანდისტთა სემინარები, რომლებმაც უკვე მოაწყეს მეცადინეობა პირველ თემებზე.

სერიოზული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ პროპაგანდისტთა ახალი კადრების მოსამზადებლად. ამ ხრიკ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტთან შექმნილი პროპაგანდისტული ფაკულტეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროპაგანდისტთა კვალიფიციური კადრების მომზადება.

პარტიული სწავლების სწორად და ნაყოფიერად წარმართვაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ პოლიტიკური განათლების კაბინეტებს. ისინი ნამდვილად უნდა გახდნენ პროპაგანდისტთა კადრების აღზრდის, მეთოდური დახმარებისა და დახელოვნების ცენტრები.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია და მასთან მუშაობა ქალაქის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა. კომკავშირელთა დიდი ნაწილი, რომელიც დაუსწრებელ და საღამოს მუშა ახალგაზრდობის სკოლებში არ სწავლობს, ჩაბმულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებულ პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმაში. ეს ღლეები მეტად დატვირთულია რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობაში. აქ დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების, ლექტორების, რიგითი კომუნისტების სკკპ-ბაასი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გ. გოგოხიამ გუშინ გადაიღო საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში. აქ აღბეჭდილია რაიონის პროპაგანდისტთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ი. ჯანელიძე, მ. ჭკადუა, ი. ერისთავი და მ. ჩიჩანიძე, რომლებიც მსჯელობენ თუ როგორ დაიწყონ მეცადინეობა.

ცხოვრების ჩირაღდანი

ამ რამდენიმე ხნის წინათ, სხვა კომუნისტებთან ერთად, პარტიაში მიმიწვიეს. დაიწყო სკკა-ბაასი იმაზე, თუ ვინ სად, პარტიული სწავლების რომელ ფორმაში ისწავლიდა ახალ სასწავლო წელს. მეც ვთქვი ჩემი აზრი.

1942 წლიდან, სწორედ მას შემდეგ, რაც პარტიის წევრი გავხდი, ვცდილობ ავიმაღლო პოლიტიკური ცოდნის დონე. არ დარჩენილა სწავლების თითქმის არცერთი ფორმა, რომელშიც არ ვყოფილიყავ ჩაბმული. ახლა თავიანთუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მაქვს საკმაო თეორიული ცოდნა, რათა დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად დავეუფლო მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ვიმუშაო ცალკეულ წყაროებზე. კითხვაზე, თუ რომელ ფორმაში ვისწავლი ახალ სასწავლო წელს, ვუპასუხე: ვიმუშავებ ინდივიდუალურად.

პარტბიუროს მდივანმა გამაფრთხილა — ინდივიდუალური სწავლება მთლად იოლი არ გეგონოთო. ეს მეც კარგად ვიცი. კაცმა რომ თქვას, ადვილი კი არა, შეიძლება უფრო ძნელიც იყოს. ინდივიდუალური სწავლებისას ხომ მთავარია მტკიცე ნებისყოფა. მეტი მონდომება და, რაც მთავარია, სათანადო მომზადება.

პარტიის ქალაქკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში მივედი და მის გამგეს ვთხოვე მოეცა ჩემთვის ლიტერატურის სია, რომელიც რეკომენდებულია პარტიის ისტორიის შესასწავლად პოლიტიკური განათლების საშუალო რგოლისათვის. ჩემი თხოვნა დაკმაყოფილდა. შევიძინე ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ამის შემდეგ შევადგინე მეცადინეობის ინდივიდუალური გეგმა. ცხადია, გეგმაში ძირითადად ვითვალისწინებ პარტიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლას, მაგრამ აქვე მხედველობიდან არ მინდა გამოვტოვო პარტიის ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო საკითხი, რომელთა შესახებ ლიტერატურა, როგორც ზევით აღვნიშნე, შეძენილი მაქვს.

ახლა მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა თვით სწავლების რეჟიმზე. გადაწყვეტილი მაქვს კვირაში ორ დღეს ორ-ორი საათი დავუთმო პარტიულ სწავლებას. მაგრამ არც ეს არის ზღვარი. შეიძლება მოხდეს, რომ ამა თუ იმ თემის შესწავლამ მეტი დრო მოითხოვოს. ყოველ შესწავლილ საკითხზე შევადგენ მოკლე კონსპექტურ ჩანაწერს. ასეთი ჩანაწერი აუცილებელია. იგი უფრო განამტკიცებს მიღებულ ცოდნას, საჭიროების შემთხვევაში სწრაფად ჩაათვალიერებ, ზოგ დეტალს გაიხსენებ.

როგორც შევიტყე, ჩვენი ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში 6 თუ 7 კომუნისტი ვართ ისეთი, რომლებიც წელს ინდივიდუალურად ვიმუშავებთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაზე. საჭიროდ მიმაჩნია პარტბიუროს ჩვენი შეკრება კონსულტანტთან ერთად მოაწყოს თვენში ერთხელ, სადაც გაიმართება გასაუბრება.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ცხოვრების სწორუპოვარი შუქია. ეს შუქი სჭირდება ყველა სპეციალისტს. მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ მე, როგორც საბუხალტრო საქმის სპეციალისტს, საშუალება მომცა უფრო კარგად გავრკვეულიყავი წარმოების ეკონომიკის, პროდუქციის თვითღირებულების, შრომის ორგანიზაციის საკითხებში, უეჭველია, სკკპ ისტორიის შესწავლა, მისი ღრმად დაუფლება კიდევ უფრო დამეხმარება პრაქტიკულ საქმიანობაში.

ა. შანშიაშვილი,
რუსთაველის ქარხნის მთავარი ბუხგალტერი, სკკპ ისტორიის შესწავლაზე ინდივიდუალური გეგმით მომუშავე.

ეთაევარია ცოდნა

ოცდაშვიდი წელია პროპაგანდისტის კეთილშობილური შრომას ვეწევი. რა თქმა უნდა, გამოცდილება მაქვს, მაგრამ, ისიც კარგად ვიცი, მარტოოდენ გამოცდილებით შორს ვერ წახვალ ჩვენს დროში, როცა ადამიანების დიდი უმრავლესობის თვისება გახდა მისწრაფება ცოდნის შეძენისაკენ. პროპაგანდისტს მოეთხოვება გულმოდგინე, ყოველდღიური მუშაობა.

ჩემთვის, როგორც სკკპ ისტორიის შესასწავლელი თეორიული სემინარის ხელმძღვანელისათვის, მთავარ საზრუნავს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა.

პარტიული სწავლების სისტემაში ამჟამად მთავარი ყურადღება მიექცევა იმას, რომ იგი ხელს უწყობდეს საბჭოთა ადამიანების, კომუნისტების მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლში გამოფენილია პარტიული სწავლების სანიმუშო სტრუქტურა-თემატიკა და ხელმძღვანელობა, ამ ფორმაში პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, რიგითი კომუნისტები და იღებენ კონსულტაციას.

პოლიტიკური განათლების სახლში ჩატარდა პროპაგანდისტების გადასამზადებელი კურსები ორ ნაკადად. პირველ ნაკადში იყვნენ პროპაგანდისტები პარტიის ისტორიაში, ხოლო მეორე ნაკადში — პოლიტიკურ ეკონომიასა და კონკრეტულ ეკონომიკაში. კურსებზე მოსმენილ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: „პარტიული პროპაგანდის ამოცანები 1965-1966 სასწავლო წელს", „სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიის პლენუმია გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში", „სკკპ ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა", „პროპაგანდისტული ხელოვნება ვისწავლოთ ვ. ი. ლენინისაგან" და სხვ.

პროპაგანდისტებთან ლექცია-მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ვ. კობახია, დ. გოგოხია, მ. ხვარწკია, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ნ. ტრაფში, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ღვინჯილია.

კურსების მონაწილეებმა დაათვალიერეს აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იყვნენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის სასწავლო მეურნეობაში.

პოლიტიკური განათლების სახლს გათვალისწინებული აქვს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატიურად იმუშაოს პროპაგანდისტებთან ცალკეულ პრობლემებზე როგორც ლექციების, თეორიული სემინარების, ისე მეთოდური კონფერენციების ჩატარების გზით.

პოლიტიკური განათლების სახლი მთავარ ყურადღებას აქცევს თეორიული სწავლების ცხოვრებასთან კავშირს. ამისტომაც პოლიტიკური განათლების სახლის მეთოდური საბჭოს წევრები სისტემატურად დაესწრებიან პარტიული განათლების ქსელის მუშაობას, შეაჯამებენ განაზოგადონ დადებითი გამოცდილება, დაეხმარებიან პროპაგანდისტებს, თუ როგორ მოაწყონ პრაქტიკულ დავალებათა მიცემა და მათი შესრულება. გარდა ამისა, შემჩნეულ ნაკლოვანებებზე თავიანთ წინადადებას შეიტანენ განსახილველად პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე.

პოლიტიკური განათლების სახლი მოაწყობს ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს როგორც ადგილზე, ისე საწარმო-დაწესებულებებში.

ვ. ფონია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგე.

ასე ემზადებოდნენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ უურადღებას აქცევენ კვალიფიციური პროპაგანდისტების შერჩევას, კომუნისტების მოთხოვნებისა და სურვილის, მათი მომზადების დონის გათვალისწინებით შეიქმნა დაწყებითი პოლიტსკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების ფართო ქსელი. მოეწყობა პარტიულ-სამეურნეო აქტივის სწავლება, თეორიული სემინარები. ახალი პროგრამით უკვე დაიწყო მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტმა.

გულდასმით, პარტიის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაკომპლექტეს სკოლები და თეორიული სემინარები ტყვე-ფეხსაცმლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ ახალი სასწავლო წლიდან იმეცადინებენ დაწყებითი პოლიტსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი თეორიული სემინარი. კომუნისტების ერთი ნაწილი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში ისწავლის. თეორიულ სწავლებაში ჩაება თითქმის ყველა კომუნისტი.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად მოემზადნენ პარტიული სწავლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის. შეიქმნა 124 სკოლა და სემინარი, აქედან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი 60 სკოლა. მსგავსი სამრეწველო საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებთან მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პარტიული განათლების ს კაბინეტი. პროპაგანდისტთა ერთმა ნაწილმა ქ. ქუთაისში გაიარა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი კურსები.

პარტიული განათლების ქსელში წელს ისწავლის 3 ათასზე მეტი მსმენელი.

«საქართველოს კომუნისტი» № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: მოწინავე — შეუნელებელი ყურადღება მშრომელთა ნერგილებსა და განცხადებებს; პ. რუსიტაშვილი — ვ. ი. ლენინის მიერ სოციალიზმისა და მშვიდობისათვის პროლეტარიატის ბრძოლის რეოლუციური ტაქტიკის შემუშავება; გ. ფირცხალავა — გადაეკეთილებათა შესრულების შემოწმება პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია; ო. ბაკურაძე — თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში; პრ. კეკელიძე — ავაკი წერეთელი; მ. ჩიხლაძე — სახალხო მეურნეობას — კვალიფიციური კადრები.

„პარტიული ცხოვრების" განყოფილებაში გამოქვეყნებულია სტატიები: ნ. შონია — ყოველდღიური დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს: მ. გოცირიძე — გაკაძლიეროთ ლექციური პროპაგანდის ქმედითობა.

ჟურნალში აგრეთვე განყოფილებები: „მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად", „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია".

ზრუნვა — ახალგაზრდობას

ჩვენს ქარხანაში უმრავლესობა ჭაბუკები და ქალიშვილები არიან. ამიტომაც პარტბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობის გაძლას.

პარტიულმა ბიურომ იზრუნა, რათა პოლიტიკურ სწავლებაში ჩაუბმელი არ დაგვრჩენოდა არც ერთი ჭაბუკი და ქალიშვილი. პარტბიუროსთან ერთად ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა კომკავშირის კომიტეტი. მოწინავე კომკავშირელების ერთი ნაწილისათვის, რომლებსაც საშუალო და უმაღლესი განათლება აქვთ, შეიქმნა მუდმივმქმედი სემინარი. მას ძველი კომუნისტები, უბნის უფროსი ს. იზმაილოვი ხელმძღვანელობს. სემინარის მსმენელები შეისწავლიან ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებსაც შედარებით დაბალი განათლება აქვთ, გაერთიანდნენ კომკავშირულ პოლიტწრეში — „ბონუბის არენი", სადაც გაეცნობიან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს. პროპაგანდისტად დავამტკიცეთ მოწინავე გემთმშენებელი კომუნისტი ა. ადამია. მას ახალგაზრდებთან ნუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

ქარხანაში ჩამოვაყალიბეთ სამეცნიერო-სადაკუსიო კლუბი — „ბლობუსი". კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებით, ახალგაზრდობის ცხოვრებით საზოგადოებრივ, და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობით სხვადასხვა სახელწოდებით. გათვალისწინებულია აგრეთვე შეხვედრები უცხოელ სტუმრებთან. პარტბიუროს კლუბის ხელმძღვანელობა დავალა ქარხნის დირექტორის მოადგილეს კომუნისტ მ. ხელაძეს. მან თავდადებულ ვეფერგიულად მოკიდა ხელი საქმეს. ამ საინტერესო წამოწყებას კარგი პრიც უნანს.

პარტიული განათლების ქსელთან ერთად ქარხანაში მუშაობა განახლება ტექნიკური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტმა. პარტბიუროს დაამტკიცა სახალხო უნივერსიტეტის საუნაო გეგმა და პროგრამა. მასში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს პროგრესული ტექნოლოგიური მეთოდების შესწავლას გემთმშენებლობაში. ადგილობრივ ლექტორებთან ერთად ლექციების წასაკითხავად მოწვეული არიან მეცნიერები სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებიდან.

დავაკომპლექტეთ და უკვე მუშაობასაც შეუდგა კომუნისტური შრომის სკოლა, რომელშიც 24 მსმენელია. სკოლის ხელმძღვანელობა დავალისრეთ ახალგაზრდა კომუნისტს, საამქროს უფროსს ვ. რუხაძეს.

ჩვენი ქარხნის 86 ჭაბუკი და ქალიშვილი მუშაობენ ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობს. 78 დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტია. პარტბიუროს მტკიცედ გვანახოვლებს ეფერგიულად მოვეზეს: არ დავტოვოთ არც ერთი კაცი სწავლების ამა თუ იმ ფორმაში ჩაუბმელი.

ე. მალაზონია,
ბათუმის გემთმშენები ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

პარტიული განათლების კერა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ რეკომენდებულმა პარტიული სწავლების სანიმუშო სტრუქტურამ, რომელიც ითვალისწინებს პარტიული სწავლების დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების ფორმებს, პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა.

უწინარეს ყოვლისა მიზნად დავისახეთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ვაწარმოოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან, ბიუროს წევრებთან იმის შესახებ, რომ თვითეული კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი შემოქმედებითად მიუდგეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ უკანასკნელ პერიოდში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას. ამიტომ თავიდანვე დაძლეულ უნდა იქნას ის ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულ პარტიულ-ისტორიული მეცნიერების, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის პრობლემების შესწავლაში. ფაქტია, რომ შარშან და წინა წლებში გატარებული ვიყავით ძმოლად როდენობრივი მაჩვენებლებით, რაც თავისთავად დიდ ზიანს აყენებდა პოლიტიკურ სწავლებას.

პარტიული სწავლების სისტემაში ამჟამად მთავარი ყურადღება მიექცევა იმას, რომ იგი ხელს უწყობდეს საბჭოთა ადამიანების, კომუნისტების მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლში გამოფენილია პარტიული სწავლების სანიმუშო სტრუქტურა-თემატიკა და ხელმძღვანელობა, ამ ფორმაში პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, რიგითი კომუნისტები და იღებენ კონსულტაციას.

პოლიტიკური განათლების სახლში ჩატარდა პროპაგანდისტების გადასამზადებელი კურსები ორ ნაკადად. პირველ ნაკადში იყვნენ პროპაგანდისტები პარტიის ისტორიაში, ხოლო მეორე ნაკადში — პოლიტიკურ ეკონომიასა და კონკრეტულ ეკონომიკაში. კურსებზე მოსმენილ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: „პარტიული პროპაგანდის ამოცანები 1965-1966 სასწავლო წელს", „სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმია გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში", „სკკპ ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა", „პროპაგანდისტული ხელოვნება ვისწავლოთ ვ. ი. ლენინისაგან" და სხვ.

პროპაგანდისტებთან ლექცია-მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ვ. კობახია, დ. გოგოხია, მ. ხვარწკია, მრეწველობისა და ტრ

მოდის მანავის მწვანე

სტომატოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სიმპოზიუმმა კბილის კარიესისა და მისი პროფილაქტიკის შესახებ. სიმპოზიუმზე მოწვეული იყვნენ დელეგატები და სტუმრები საფრანგეთიდან, ინგლისიდან, საბჭოთა კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, შვეიცარიდან, დანიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

სიმპოზიუმს ესწრებოდა დაახლოებით 150 წარმომადგენელი, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან იყო 16 მეცნიერი მუშაკი და მოწვნავე ექიმი სტომატოლოგი.

ჩვენი რესპუბლიკიდან სიმპოზიუმზე იყვნენ ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ნოზაძე, თბილისის მეოთხე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, ო. ზუმბულიძე და მეშვიდე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ე. გოდერძიშვილი.

სიმპოზიუმმა თავის სამუშაო გეგმაში განიხილა ძირითადად ოთხი საკითხი: ნორმალური კბილის სტრუქტურა, ბიოქიმია და ბიოლოგია; მეორე საკითხი ეხებოდა კბილის კარიესის პათოლოგიას და მიკრობიოლოგიას; სიმპოზიუმის მსჯელობის საგნად იქცა კბილის კარიესის პათოგენეზი; მეოთხე საკითხად განიხილეს კარიესის პროფილაქტიკა.

ექიმი—მოქანდაკე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ექიმი-პროფესორი, ექიმი-მოქანდაკე — ასე იცნობენ ქუთაისში აქვე აღზრდილს, ეროვნებით დაღესტნელს შეიხ სულეიმანოვს.

შ. სულეიმანოვი უკვე სამი ათეული წელია მუშაობს სკულპტურის დარგში. მისი ნამუშევრები ექსპონირებული იყო მრავალ გამოფენაზე, მათ შორის პარიზშიც. მან შექმნა ბრინჯაოსა და ვერცხლისაგან გამოკვეთილი ქანდაკებები აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამისა, გალაკტიონ ტაბიძისა და დაღესტნელი პოეტის სულეიმან სტალსკისა.

ამჟამად, დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, ექიმი-მოქანდაკე მუშაობს პოეტის სკულპტურულ პორტრეტზე.

ბ. ს. ახმეჯელი— მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მ. წინამძღვრიშვილი ს სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გურამ სიმონისძე ახმეტელმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ძასალები მიოკარდიუმის ნეკროზების პათოგენეზის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ს. ახმეტელისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

... ...

ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს პრესის გავრცელების რესპუბლიკური სამმართველო

«სოიუზპეჩატი»

მოაგონებს ხელისმომწერთ,

რომ ხელისმოწერა 1966 წლის ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო საქალაქო და რაიონულ გაზეთებსა და ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო ჟურნალებზე

წყდება 24 ნოემბერს.

საზღვარგარეთის ჟურნალებზე — 1 ნოემბერს, საზღვარგარეთის გაზეთებზე — 20 ნოემბერს.

სცენაზე არიან ქიმიკოსები

რუსთავი. (საკ. კორ.). ვ. გუნიას „და-ძმის“ დადგმა ამას წინათ განახორციელა ქიმიკოსების კულტურის სასლის თეატრალურმა კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი გ. რამნისთაველი. ეს დადგმა ქიმიკოსებმა რუსთავს გარდა უჩვენეს მცხეთის, მარტყოფის, ვაზიანისა და ნავთლუღის მაყურებლებს.

ამჟამად თეატრალური კოლექტივი დასადგმელად აპირებდის სამამულო ომის თემაზე დაწერილ ს. მთვარაძის პიესას „ახსოვარი“. მარტო ამით რიდი შემოიფარგლება ქიმიკოსთა მხატვრული შემოქმედება. აქ ჩამოყალიბებულმა სიმღერა - დო ორკესტრმა, მუსიკალურმა კვარტეტმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა თავიანთი კონცერტებით მოხიბლეს რუსთაველი და მის ახლომახლო მდებარე დასახლებათა მაყურებლები.

... ...

... ...

საგავშვო ბაღი კოლმეურნეობაში

თელავი. (საკ. კორ.). საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, მაღაზიები—ბევრი რამ აშენდა და დამშვენდა სანაიორის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“.

ახლახან სანაირელებმა ახალი საჩუქარი მიიღეს. დამთავრდა 12-ოთახიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა. აქვე აშენდა საექიმო კაბინეტი.

«გახტრიონი» გახტრიონზე

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონის მშრომელებს აფიშებმა აუწყათ, რომ რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივი დ. გაჩეჩილაძის პიესას „ბახტრიონს“ ბახტრიონზე უჩვენებდა. დღისი, ჯოყოლო, ალვანი, ოქიო, ქრისტეფორი, მატანი... სოფელი არ დარჩა, საიდანაც მაყურებლები ბახტრიონზე არ მისულიყვნენ.

სპექტაკლი ნამდვილ სახალხო სანახაობად იქცა. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ე. აფხაიძემ, გ. სალარაძემ, მ. ჩიხლაძემ, ბ. ზაქარიაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. თეთრაძემ და სხვებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს.

თეატრმა „ბახტრიონი“ წარმოადგინა ბერეთვი თელავის, ყვარლისა და გურჯაანის სტადიონებზე. „ბახტრიონი“ 25 ათასზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

... ...

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გულითადი მადლობა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქებში — ბაქოში, ერევანსა და თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ კავკასიას რომ ტოვებს, რიგის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი დიდ მადლობას უძღვნის თბილისის მშრომელებს, პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თეატრისათვის გაწეული სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში გატარებული მთელი ერთი თვე მუდამ გვეხსომება როგორც ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ნამდვილი მეგობრობის სიმბოლო.

ა. ხლებნოვი, თეატრის დირექტორი; ა. კაცი, მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ბ. სტარჟინსკაია, პარტიიორის მდივანი; ბ. ნიკიფოროვი, ადგილკომის თავმჯდომარე.

... ...

... ...

... ...